# ნენსკრის ჰიდროელექტროსადგური - პორტირება

| | |
|---|---|
| **ქვეყანა:** | საქართველო |
| **პროექტის ნომერი:** | 47510 |
| **ბიზნეს სექტორი:** | ენერგეტიკა |
| **შეტყობინების ტიპი:** | კერძო |
| **გარემოსდაცვითი კატეგორია:** | A |
| **საბჭოზე გატანის თარიღი:** | 13 დეკემბერი 2017 |
| **სტატუსი:** | კონცეფციის განხილვა დასრულებულია |
| **პროექტის აღწერის გამოქვეყნების თარიღი:** | 24 ოქტომბერი 2017 |

## პროექტის აღწერა

სს „ნენსკრა ჰიდროსთვის" კაპიტალში თანამონაწილეობა 15 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით", 280 მეგავატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის განვითარებისა და მშენებლობისთვის ნენსკრისა და ნაკრის მდინარეებზე სვანეთში, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

## პროექტის მიზნები

ინვესტიცია მხარს უჭერს სს „ნენსკრა ჰიდროს" 280 მეგავატი ჯამური დადგმული სიმძლავრის მქონე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და განვითარებაში ნენსკრისა და ნაკრის მდინარეებზე სვანეთის რეგიონში, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

## ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

პროექტი თანხვედრაშია ბანკის ეკონომიკური გარდაქმნის მწვანე ინიციატივასთან, შეამცირებს რა ელექტროენერგიის წარმოებასთან დაკავშირებული სასათბურე აირების გამოყოფას, რაც ბანკის ეკონომიკური გარდაქმნის მწვანე მიდგომის ძირითადი პრიორიტეტია.

## ინფორმაცია კლიენტის შესახებ
სს ნენსკრა

სს „ნენსკრა ჰიდრო“ სპეციალური დანიშნულების კომპანიაა, რომელიც შეიქმნა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთადერთი მიზნისთვის - აეშენებინა 280 მეგავატი სიმძლავრის ნენსკრის ჰიდროელექტროსადგური. პროექტის განმახორციელებელია კორეის წყლის რესურსების კორპორაცია (KWater).

KWater, რომელიც 100%-ით კორეის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კომპანიაა და Aa3 (Moody's), A+ (S&P) და AA- (Fitch) რეიტინგები აქვს მოპოვებული, დაარსდა 1967 წელს. დაარსების დროიდან, იგი ნერგავს წყლის ეროვნული რესურსების მართვის პოლიტიკას მრავალმიზნობრივი კაშხლების, წყალმომარაგების კაშხლებისა და რეგიონალური წყალმომარაგების სისტემების მიმართულებით. საერთო ჯამში, კომპანია ამუშავებს 1,250 მეგავატზე მეტი საერთო დადგმული სიმძლავრის მქონე ათ ჰიდროელექტროსადგურს და აწარმოებს მთლიანი ჰიდროგენერაციის 60%-ზე მეტს სამხრეთ კორეაში.

## EBRD-ის დაფინანსება
15,000,000.00 აშშ დოლარი.

## პროქტის ჯამური ღირებულება
1,083,000,000 ამერიკული დოლარი

## გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები
ევრობანკის 2014 წლის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის შესაბამისად, ნენსკრის ჰიდროელექტროსადგურის პროექტს მიენიჭა A კატეგორია, რაც ითვალისწინებს გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების ფორმალიზებული და მონაწილეობითი შეფასების მომზადებას პროექტის სპონსორების მიერ, ევრობანკის შესრულების მოთხოვნების(PR) შესაბამისად. შემოთავაზებული ჰიდროენერგიის სქემა გულისხმობს დიდი კაშხლის მშენებლობას, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა A კატეგორიის მოთხოვნების წამოწევა; გარდა ამისა, პროექტი შეიცავს ფართო და კომპლექსური განვითარების გეგმას, მთელი რიგი გარემოსდაცვითი და სოციალური თავისებურებებით.

გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში მოცემულია პროექტის დეტალური აღწერა და, როგორც მითითებულია, პროექტი შეიცავს „დიდ“ (დიდი კაშხლების საერთაშორისო კომისიის განმარტების მიხედვით) ინფრასტრუქტურულ კომპონენტებს, ისევე როგორც გვირაბის მშენებლობას მეზობელი წყალშემკრები აუზიდან წყლის გადმოგდების მიზნით. პროექტის მშენებლობა ასევე მოითხოვს მთელი რიგი დაკავშირებული ობიექტების, მათ შორის გზების, კარიერებისა და გადამცემი ხაზების მშენებლობას. წყალშემკრები აუზი მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზეა, თუმცა, პროექტი მაინც საკმაოდ სენსიტიურია როგორც სოციალური, ისე -გარემოსდაცვითი

თვალსაზრისით. შესაბამისად, პროექტის ზეგავლენა ფართო და კომპლექსურია და ზედმიწევნით იქნა განხილული როგორც სპონსორების მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადებისას, ასევე - ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის მიერ განხორციელებულ შესწავლისას.

გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ტექნიკური შეცწავლა განახორციელა აღნიშნულ სფეროში პროფესიონალური გამოცდილების მქონე დამოუკიდებელმა საერთაშორისო კონსულტანტების ფკომპანიამ. კონსულტანტები ადგილზე იმყოფებოდნენ მთელი ტექნიკური კვლევის მანძილზე და შეინარჩუნებენ თავიან პოზიციებს მონიტორინგის პროცესშიც. შესაბამისად, ტექნიკური კვლევისა და მონიტორინგის პროცესის თითოეული ნაბიჯი დამოუკიდებელი განხილვის საგანია.

2015 წელს, ეროვნული ნებართვის საჭიროებებისთვის, მომზადდა გარემოზე ზემოქმედების შეფასება. გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ტექნიკური კვლევის პირველი ეტაპი იყო გარემოზე ზემოქმედების შეფასების ხარვეზების ანალიზი ევრობანკის შესრულების მოთხოვნებთან მიმართებაში და დამატებითი ინფორმაციული პაკეტის მოთხოვნების განსაზღვრა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროექტი ერგებოდეს ევრობანკის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკას. გარდა ამისა, დეტალურად და სიღრმისეულად შეფასდა სპონსორისა და კონტრაქტორის შესაძლებლობა შეესაბამებოდნენ ევრობანკის მოთხოვნებს.

ტექნიკური კვლევის თავდაპირველმა დასკვნებმა აჩვენა, რომ პროექტის ზედა წყალშემკრები ტერიტორია დასახლებულია ძლიერი იდენტობის მქონე პოპულაციით, რომელთაგანაც ზოგი პროექტის წინააღმდეგია. გარდა ამისა, კვლევამ ცხადჰყო, რომ ორაზროვნება არსებობს პროექტის ადგილმდებარეობის პოტენციურად 'დაცული ტერიტორიის' სტატუსთან დაკავშირებით. შედეგად, დამატებით შეფასებებში ყურადღება გამახვილდა ადგილობრივ მაცხოვრებლებთან და ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ხარვეზების ანალიზის დასრულების შემდგომ, სპონსორმა შეინარჩუნა გარემოზე ზემოქმედების შეფასების კონსულტანტი დამატებითი კვლევებისა და საჯარო ინფორმაციის პაკეტის მოსამზადებლად. გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ტექნიკური კვლევა მოიცავდა ნახსენები კვლევების განვითარებისა და შედეგების დეტალურ განხილვას, რაც დაგვირგვინდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გამოქვეყნებით 2017 წლის მარტში; ანგარიშმა თავი მოუყარა სამწლიან დეტალურ კვლევებს ჩატარებულს იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილიყო პროექტის შესაბამისობა ევრობანკის მოთხოვნებთან. პარალელურად, სპონსორმა შეკრიბა ექსპერტთა ძლიერი გუნდი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე წვდომა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: http://nenskra.ge/en/reports/ . მსესხებელი ჯგუფისა და დამოუკიდებელი კონსულტანტების მიერ ჩატარებულმა ტექნიკურმა კვლევამ დაადასტურა, რომ ანგარიში შეესაბამება ევრობანკის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკას და შესრულების მოთხოვნებს, თუმცა, ამავდროულად, აღიარებულია ის ფაქტიც, რომ საქმე გვაქვს მთელი რიგი გარემოსდაცვითი და სოციალური თავისებურებების მქონე კომპლექსურ პროექტთან.

პროექტის კომპლექსური და სენსიტიური ბუნებიდან გამომდინარე, გადაწყდა, რომ ყველა დაინტერესებული მხარისთვის სასარგებლო იქნება ექსპერტთა დამოუკიდებელი ჯგუფის მოწვევა პროექტის დიზაინისა და განხორციელების დაგეგმვის პროცესში დამატებითი ზედამხედველობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით. დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფს აქვს სრული თავისუფლება პროფესიულად განსაჯოს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტები სპონსორისა თუ სხვა რომელიმე დაინტერესებული მხარის გავლენის გარეშე. დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფმა მოამზადა ანგარიშების მთელი რიგი ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა კაშხლების უსაფრთხოება და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა; ეს ნაშრომები გამოიცა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან ერთად.

დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეა ჰიდროენერგეტიკის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი; ჯგუფს დახმარებას უწევს ექსპერტთა გუნდი გეოლოგიური და ბუნებრივი კატასტროფების, სეისმური რისკებისა და სოციალური შეფასების საკითხებში. დამოუკიდებელ ექსპერტთა გუნდმა რამდენიმეჯერ მიმოიხილა პროექტის დოკუმენტაცია და მათ მიერ წარდგენილი ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა პროექტის განახლებულ დიზაინში. ექსპერტთა ჯგუფმა აზრი გამოთქვა ტექნიკური დოკუმენტაციის უახლეს ვერსიაზეც და სპონსორი დათანხმდა ჩართოს გუნდი პროექტის შემდეგ ეტაპებშიც მანამ, სანამ პროექტი უშუალოდ ამოქმედდება.

დამოუკიდებელ ექსპერტთა გუნდის მიერ პროექტის განხილვის მნიშვნელოვანი სარგებელი მდგომარეობს გათვლის ცვლილებებში, კერძოდ კი წინა დაგეგმარებით გათვალისწინებული ადგილობრივი მოსახლეობის ფიზიკური განსახლების მოთხოვნის ამოღებაში. გარდა ამისა, გუნდის რამდენიმე რეკომენდაციამ კაშხლის დაგეგმარებასა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეარბილა პროექტის გეგმასა და სამომავლო მოქმედებებთან დაკავშირებული რისკები.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უკვე გამოქვეყნდა საჯაროდ; დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფმა, ისევე როგორც კრედიტორის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების კონსულტანტმა, დაადასტურეს რომ მიღწეულია არსობრივად მნიშვნელოვანი კონსულტაცია. ადგილობრივი მოსახლეობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა დიდი რაოდენობის კომენტარებით მიმართეს სპონსორსა და ევრობანკს; მომზადდა დაწვრილებითი ახსნა-განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იქნა განხილული თითოეული ეს შეკითხვა და გამოქვეყნდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტთან ერთად საჯარო კონსულტაციების ანგარიშის ფორმით. საჯარო კონსულტაციებისა და გამოხმაურების მექანიზმის შედეგად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ცალკეულ თავებში უკვე კონსულტაციის პერიოდში შევიდა ცვლილებები; სპონსორი ერთგული რჩება თავისი ნაკისრი ვალდებულებისა აწარმოოს დიალოგი და შეინარჩუნოს გამჭვირვალობა დაინტერესებულ მხარეთა მიერ წამოწეული პრობლემური საკითხების განხილვისას;

სამოქალაქო საზოგადოების მიერ წამოწეული პრობლემური საკითხები ძირითადად ეხებოდა შემდეგს: გარემოზე ზემოქმედების შეფასების წინა ვერსიების ადეკვატურობა; მკვიდრი მოსახლეობის 'ადგილობრივ ხალხად" კლასიფიკაციის არარსებობა; პროექტის მშენებლობა პოტენციურად დაცულ ტერიტორიაზე; ბუნებრივი კატასტროფების შეფასების

დონე; კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მეთოდი; დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უზრუნველყოფის გზა; გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და საჯარო კონსულტაციების ანგარიშებში სპონსორი შეეხო თითოეულ ამ პრობლემას. შესაბამისი საკითხების ერთი წილი მოკლედაა შეჯამებული ქვემოთ, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ თემებზე დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში და არაა სრულად დუბლირებული ამ დოკუმენტში:

- საზოგადოების უსაფრთხოება, ბუნებრივი კატასტროფები - ადგილი სადაც პროექტის მდებარეობაა განსაზღვრული მთიანია და, შესაბამისად, არსებობს ბუნებრივი კატასტროფები. დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა გარემოზე ზემოქმედების შეფასება და პროექტის ტექნიკური დოკუმენტაცია და შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებმაც შეამცირა პროექტზე და საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე გავლენის მქონე რისკები. კაშხლის შენების მეთოდი, ადგილმდებარეობა და საძირკვლის გეგმა ადაპტირდა კაშხლის მთლიანობაზე გავლენის მქონე ბუნებრივი კატასტროფების რისკების შესამცირებლად.

- ფიზიკური განსახლება - გეგმის ადაპტირების შედეგად, შესაძლებელი გახდა ადგილობრივი მოსახლეობის განსახლების მთლიანად არიდება თავიდან; მიუხედევად იმისა, რომ მიწის მნიშვნელოვანი ნაკვეთი კვლავ საჭიროა, განსახლებასთან დაკავშირებული აქტივობების შემცირება, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ტექნიკური კვლევის პროცესების დადებითი შედეგია.

- ადგილობრივი ხალხი - სამოქალაქო საზოგადოებას მტკიცედ სჯერა, რომ სვანები შეესაბამებიან 'ადგილობრივი ხალხის" ევროზანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკით განსაზღვრულ კრიტერიუმს და, შესაბამისად, პროექტის ანალიზის მიზნებისთვის უნდა განიხილებოდნენ კიდეც ასეთად; გარემოზე ზემოქმედების შეფასება უზრუნველყოფს სვანების იდენტობის დეტალურ ანალიზს კრედიტორის პოლიტიკასთან მიმართებაში, რაც ადასტურებს, რომ შესრულების მოთხოვნა 7 კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას.

- დაცული ტერიტორია - როგორც ქვემოთ უფრო დაწვრილებით იხილავთ, საპროექტე ტერიტორია ადრე პოტენციურად დაცული ტერიტორიის ფარგლებში მდებარეობდა, რომლის საზღვრებიც შემდგომ შეიცვალა; სპონსორმა შეიმუშავა პრევენციული მიდგომა და შეაფასა პროექტი ისე, თითქოს ის ამჟამადაც მდებარეობს დაცული ტერიტორიის ფარგლებში; შესაბამისი კვლევები აჩვენებს, რომ, ამ შემთხვევაშიც კი, ზემოქმედების სათანადოდ შერბილება შესაძლებელია.

- მარეგულირებელი გარემო და სპონსორის შესაძლებლობები - ევროზანკმა ამ დროის განმავლობაში მჭიდროდ ითანამშრომლა სპონსორთან და გამოავლინა გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობისა და ანგარიშგების სტრუქტურის

განვითარების საჭიროება; ხსენებული უკვე მზადაა ამოქმედდეს პროექტის მშენებლობის მომენტისთვის.

ნენსკრის პროექტისთვის გარემოზე ზემოქმედების ეროვნული შეფასება მომზადდა და დამტკიცდა 2015 წელს. ეს მოხდა მანამ, სანამ „სვანეთის" ზურმუხტის ქსელის კანდიდატი ტერიტორიის საზღვრები შეიცვლებოდა ხელისუფლების მიერ და, შესაბამისად, იმ დროისთვის პროექტი ექცეოდა ზურმუხტის ქსელის კანდიდატი თავდაპირველი ტერიტორიის ფარგლებში. 2016 წელს ხელისუფლებამ გადახედა ზურმუხტის ქსელის კანდიდატი ტერიტორიების საზღვრებს ქვეყნის მასშტაბით და, შედეგად, სვანეთის კანდიდატი ტერიტორიები ორ მომცრო ნაწილად - სვანეთი 1 და სვანეთი 2 -ად გაიყო. ხსენებულთაგან არც ერთში აღარ შედიოდა საპროექტე ტერიტორია.

ამ მოვლენების თანმიმდევრულობა, გარემოზე ზემოქმედების ეროვნული შეფასების შინაარსი, გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიში და ნებადართვის პროცედურა სამოქალაქო საზოგადოებამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა და ეს საკითხი ამჟამად ბერნის კონვენციის მიერ განიხილება;

საკითხზე წინასწარი რეაგირების მიზნით, სპონსორმა შეაფასა ნენსკრა როგორც დაცული ტერიტორიის ფარგლებში მდებარე პროექტი და, ამდენად, ჩაატარა შესაბამისი შეფასება (პირველი ეტაპი - სკრინინგი) და კრიტიკული ჰაბიტატების შეფასება ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივისა და ევრობანკის შესრულების მე-6 მოთხოვნის მიხედვით. ორივე შეფასებამ დაადასტურა, რომ რომც მდებარეობდეს ზურმუხტის ქსელის კანდიდატი ტერიტორიის ფარგლებში (რაზედ აჟამად მსჯელობენ კომპეტენტურ ორგანოებში), პროექტთან დაკავშირებული რისკების შემცირება საკმარისაა შესაძლებელი იმისთვის, რომ დაცული ტერიტორიის კონსერვაციის მიზნებს საფრთხე არ დაემუქროს. ხსენებულმა შეფასებებმა დაადასტურა, რომ პროექტის პირდაპირი ზემოქმედების ტერიტორია უკვე უაღრესად შეცვლილი ჰაბიტატია, რაც წლების ხე-ტყის საქმიანობის შედეგია. შეფასებების განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისობა ევროკავშირის დირექტივებთან და ევრობანკის პოლიტიკასთან დაადასტურა დამოუკიდებელმა კონსულტანტმა.

პროექტის ყველა ელემენტი მკაცრად გაკონტროლდება ევრობანკის და კრედიტორის დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი და სოციალური კონსულტანტის მიერ. ეს გულისხმობს აღნიშნული კონსულტანტის ადგილზე ყოფნას მთელი დროის განმავლობაში და ევრობანკის რუტინულ ვიზიტებს. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის დანერგვაზე, რომელიც პროექტის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე განხორციელებული გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებისა და ტექნიკური კვლევების შედეგია.

## ტექნიკური თანამშრომლობა

არ ვრცელდება ამ შემთხვევაზე.

## კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

იანგ-ტაკ ჩოი
+995-322-430419
www.nenskra.ge
მარჯანიშვილის ქ. №6; 0102 თბილისი, საქართველო
მწვანე ოფისი, 4-5 სართულები

## ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე, გთხოვთ, დაუკავშირდეთ კომპანიას.

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისათვის, დაუკავშირდით EBRD-ის შესყიდვების დეპარტამენტს( http://www.ebrd.com/work-with-us/procurement.html) :
ტელ: +44 20 7338 6794;
ელ-ფოსტა: procurement@ebrd.com

## ზოგადი საკითხები

EBRD-ის პროექტებთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც არ უკავშირდება შესყიდვებს, დაუკავშირდით:
ტელ: +44 20 7338 7168
ელ-ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

## ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკა (PIP)

ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია ევრობანკის მიერ ინფორმაციის გავრცელებისა და აქციონერებთან კონსულტაციების ისეთი გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს ევრობანკის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრებას.

ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკის დოკუმენტის ტექსტი

## პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)

პროექტის გასაჩივრების მექანიზმი EBRD-ის ანგარიშგების მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკური პირებისა თუ ორგანიზაციების საჩივრების დამოუკიდებელი განხილვის შესაძლებლობას. საჩივრები უნდა ეხებოდეს ევრობანკის მიერ დაფინანსებულ

პროექტებს, რომლებმაც გამოიწვიეს ან შესაძლოა, გამოიწვიონ გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ზიანი.

საჩივრის შეტანის პროცედურების გასაცნობად, გთხოვთ, ესტუმროთ პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ვებგვერდს. საჩივრის შეტანასთან, ისევე როგორც რეგისტრაციისა და დაშვებადობის კრიტერიუმებთან დაკავშირებული კითხვებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ საჩივრების ოფიცერს (pcm@ebrd.com), გასაჩივრების მექანიზმის პროცედურის წესების შესაბამისად.